საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 4187/01
26/04/2022

4187-01-2-202204260953

შპს „ქისთოუნ აგროს“

მის: ქ. თბილისი, კოსმონავტების სანაპირო №49, ბ. №173

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი №7445 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, სოფ. ჩხორიაში სამელიორაციო (სარწყავი) სისტემის მოწყობასა და ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და წარმოდგენილი უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- დოკუმენტში დაზუსტებას და განმარტებას საჭიროებს დასარგავი ნერგების რაოდენობისა და დღე-ღამეში საჭირო წყლის რაოდენობის გათვალისწინებით, მდ. ჩხოუშის კალაპოტიდან ირიგაციული მიზნით აღებული წყლის რაოდენობა თვეების მიხედვით. აღნიშნული ინფორმაცია უნდა შეესაბამებოდეს სკრინინგის განცხადებაში წყალაღების ნაწილში მითითებულ ინფორმაციას წლის განმავლობაში გამოსაყენებელი წყლის ჯამური მოცულობის თაობაზე;
- განმარტებას და დაზუსტებას საჭიროებს დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია, რომლის მიხედვით მდინარე ჩხოუშის ეკოლოგიური ხარჯის სიდიდედ აღებულია 0,19 $მ^3$/წმ, რაც წყალაღების კვეთში მდინარის საშუალო მრავალწლიური ხარჯის 10%-ის ტოლია. ამასთან, ამავე დოკუმენტის თანახმად, საკვლევ კვეთში საშუალო მრავალწლიური ხარჯი 1,85 $მ^3$/წმ-ს შეადგენს.
- წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საპროექტო მიწის ნაკვეთზე
- (ს/კ: 43.01.05.672) დაგეგმილია წვეთოვანი სისტემისთვის წყლის გამანაწილებელი სადგურის მოწყობა შესაბამისი ინფრასტრუქტურით (მარტივი, სენდვიჩ-პანელის ტიპის კონტეინერი და ტუმბო საფილტრაციო სისტემით). დოკუმენტში დაზუსტებას საჭიროებს სატუმბ სადგურში გათვალისწინებული ტუმბოს წარმადობის შესახებ ინფორმაცია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად, სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე